„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლადო ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * აგვისტო . 2019 * (6)53

სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებს მიეძღვნა

მიმდინარე წლის 26 ივლისს, ასპინძის კულტურის ცენტრში, შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური**, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე მინისტრის მოადგილემ სახელმწიფოს მხრიდან სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით გადადგმულ ნაბიჯებზე ისაუბრა და შეხვედრის მონაწილეებს სამინისტროს გეგმები გააცნო. მანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტში ამ მიმართებით სერიოზული სახელმწიფოებრივი მიდგომაა ეროვნულ უმცირესობებთან მუშაობის თვალსაზრისით, რის შედეგადაც დამალის საჯარო სკოლაში გაზრდილია მოსწავლეთა შორის ქართული ენისადმი ინტერესი, რომლებიც სისტემატურად მონაწილეობენ რესპუბლიკურ ღონისძიებებში და წარმატებებსაც აღწევენ.

მუნიციპალიტეტის მერმა **როსტომ მაგრაქველიძემ** კი დეტალურად ისაუბრა ასპინძის მუნიციპალიტეტში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მიმართულებით განათლების ხელმისაწვდომობასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. ამ მიმართებით არაერთი ფაქტობრივი მასალაც მოიშველია და განაცხადა, რომ მომავალშიც ინტენსიურად წარიმართება მუნიციპალიტეტის საქმიანობა და ეთნიკურ უმცირესობებს ყველა პირობა შეექმნება მათი როგორც ინტეგრაციის, ასევე სამოქალაქო საქმიანობაში აქტიური ჩართულობის მიზნით.

აღნიშნულ შეხვედრაზე ასევე განიხილეს გენდერული თანასწორობის საკითხები, ოჯახში ძალადობისა და სახელმწიფო სერვისების შესახებ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ამა წლის 12 ივლისს ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრის მამუკა მელიქიძის ხელმძღვანელობით საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ;
2. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ (N80-N93);
3. დ.ასპინძაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე სავაჭრო ობიექტის (ვაგონიმაღაზია) განთავსების თაობაზე განხილვის შესახებ;
4. დაბა ასპინძაში არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე კაფე-ბარის და სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის ქალაქთმშენებლობითი პირობების დამტკიცების შესახებ.

სხდომაზე განსახილველად წარდგენილ N3 საკითხს (განმცხადებელს) კენჭისყრის შედეგებით უარი ეთქვა წარმოდგენილი საკითხის (განცხადების) დაკმაყოფილებაზე.

დეპუტატებმა დანარჩენი საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

23 ივლისს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მამუკა მელიქიძის თავმჯდომარეობით გაიმართა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, სადაც განიხილეს შემდეგი საკითხები:

1.ასპინძის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ;
2. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ;
3. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ასპინძის მელიორაციის ცენტრის სარწყავ არხებზე და წყლის სატუმბო სადგურებზე მომსახურების საფასურის დამტკიცების შესახებ“, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 თებერვლის №8/12 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ;

სხდომაზე განსახილველად წარდგენილი საკითხები დეპუტატებმა ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს,

მაკა ბერიძე

ღია წერილი გაზეთ ,,ასპინძის სიახლენის“მკითხველებს!

ძვირფასო მეგობრებო, დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ლადო მესხიშვილის, ვანო სარაჯიშვილისა თუ აკაკი ხორავას სამშობლოში ჯერ გამოცემული არ არის ქართული თეატრის ენციკლოპედია!

ჩვენი უნივერსიტეტი – ქვეყნის ერთადერთი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ამზადებს თეატრისა და კინოს კადრებს, ბუნებრივია, ამ გარემოებას ვერ შეეგუებოდა და ამიტომაც გადაწყდა, რომ აგვეღო პასუხისმგებლობა ამ, მართლაც, საშვილიშვილო საქმეზე. უკვე მესამე წელია უნივერსიტეტის ყოველთვიური გაზეთის (,,დურუჯი“) თითოეულ ნომერში გაჩნდა მუდმივი რუბრიკა, სადაც ქვეყნდება ქართული თეატრის პირველი ენციკლოპედიის მასალები, რა თქმა უნდა, ანბანური თანმიმდევრობით. ცხადია, თავდაპირველად, ვმუშაობთ ასო ,,ა“-ზე და ვცდილობთ, არ გამოგვრჩეს არცერთი ღირსეული მუშაკი ქართული თეატრისა, მსახიობი იქნება ეს, რეჟისორი, რეკვიზიტორი, გამნათებელი თუ მკერავი და ა. შ. და ა. შ. ცხადია, ეს ეხება ქალაქებსაც და რაიონებსაც, რომელთაც ჰქონდათ და ახლაც აქვთ საინტერესო თეატრალური ცხოვრება.

ამ მიზნით გადავწყვიტეთ თქვენს გაზეთშიც გამოქვეყნდეს ჩვენთან უკვე დაბეჭდილი სტატია ასპინძის სახალხო თეატრზე, რადგან თქვენ უკეთ იცნობთ ამ საკითხს და დიდად დაგვავალებთ, თუ გადახედავთ და შეგვეხმიანებით, ხომ არ გამოგვრჩა რაიმე ან ვინმე, ან ეგებ თარიღია რომელიმე არაზუსტი და ა.შ. მართალია, სტატიის ავტორი ასპინძელია, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, თქვენი შეფასებაც.

მწამს თითოეული თქვენთაგანის გულისხმიერებისა და, ამდენად, თავს ნებას ვაძლევ წინასწარვე გადაგიხადოთ მადლობა.

უღრმესი პატივისცემით

გოგი დოლიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქართული თეატრის პირველი ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი.

ზოგი რამ ასპინძის თეატრალური ცხოვრებიდან

ასპინძის თეატრი დაარსდა XX საუკუნის 50-იან წლებში თვითმოქმედი დრამატული კოლექტივის ბაზაზე და 1989 წელს მას მიენიჭა სახალხო თეატრის სტატუსი.

თეატრი სპექტაკლებს მართავდა ასპინძის კულტურის სახლში. დაიდგა შემდეგი სპექტაკლები: გ.ნახუცრიშვილის – „ნაცარქექია“ (1968 წ, რეჟ. სპ.წამალაშვილი); ჯ.გორდონის – „ის დღე დაიქცეს“ (1960 წ. რეჟ. ფ.კოპლატაძე); ალ. ყაზბეგის – „ხევისბერი გოჩა“ (1962 წ. რეჟ. ფ.კოპლატაძე); ა. აფხაიძის – „სახელგატეხილნი“ (1965 წ.) და „დაიბრუნეთ თქვენი ახალგაზრდობა“ (1967 წ.); ბ. ტომას „ჩარლის დეიდა“ (1978 წ.); ნ.დუმბაძის მიხედვით – „მზიანი გული“ (2003 წ.) და ალ.ცაგარელის – „ხანუმა“ (1964 წ. ხუთივეს რეჟისორი ომარ ცინაძე).; რ.ყენიას – „ეს დღეობაა საქართველოსი“ (1981 წ. რეჟ. რ.ყენია); კ.ბუაჩიძის – „მკაცრი ქალიშვილები“ (1987 წ.); ნ.დუმბაძის – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (1990 წ.); ა.წერეთლის – „ბუტიაობა“ (1988 წ.) და ს.მთვარაძის – „სახსოვარი“ (1985 წ. ოთხივეს რეჟ. ალ. კრამერენკო); ნ.დუმბაძის – „დიდრო“ (2001 წ. რეჟ. ოთარ ცინაძე).

ამასთან ერთად, ალ. კრამარენკოს (1963 წლიდან ასპინძის თეატრში ეწეოდა სამსახიობო და სარეჟისორო მოღვაწეობას, 1989-96 წლებში სახალხო თეატრის მთ. რეჟისორი)

ხელმძღვანელობით, თეატრთან ფუნქციონირებდა საბავშვო თეატრალური დასი. დაიდგა – „სამი დათვი“ (რუსული ზღაპრის მიხედვით, 1980 წ.); „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ (ძმები გრიმების ზღაპრის მიხედვით, 1982 წ.) და ი.გოგებაშვილის – „იავნანამ რა ჰქმნა“ (1985 წ. სამივეს რეჟ. ალ. კრამარენკო); ო.იოსელიანის – „ლომის განაჩენი“ (მუს. სპექტაკლი, 2000 წ. რეჟ. ოთარ ცინაძე და ესმა ხიხალაშვილი, კონსულტანტი – საქართველოს სახალხო არტისტი ნანა დემეტრაშვილი).

2007 წელს დასი დაიშალა და სახალხო თეატრმაც შეწყვიტა ფუნქციონირება.

2014 წლიდან ასპინძის კულტურის ცენტრში საქართველოს დამსახურებული არტისტის, ვ.ანჯაფარიძის სახელობის პრემიის ლაურეატის, რეჟ. ლია სულუაშვილის ხელმძღვანელობით იქმნება საბავშვო თავისუფალი თეატრი, სადაც 2014-18 წლებში დაიდგა ე.შვარცის – „თხუპნია“ და „წითელქუდა“, მუსიკალური სპექტაკლი – „კომბლე“ (ქართული ზღაპრის მიხედვით); რ. მამულაშვილის – „მერხებზე ანგელოზები სხედან“ და ნ. დუმბაძის – „ჰელადოსი“.

ოთარ ცინაძე,
ასპინძის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი

რედაქციისაგან:

მართლაც დიდ საშვილიშვილო საქმეს აკეთებს ღვაწლოსილი მეცნიერი, მკვლევარი, თეატრმცოდნე, კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ბატონი გოგი დოლიძე და თითოეული ჩვენთაგანი, ვისაც როგორ შეუძლია, მხარში უნდა დაუდგეს მას, რათა შესაძლებლობის ფარგლებში, ჩვენი მუნიციპალიტეტის თეატრალურმა ცხოვრებამაც სათანადო ასახვა ჰპოვოს ქართული თეატრის პირველ ენციკლოპედიაში. იმედია დაინტერესებული პირები გამოგვეხმაურებიან.

ინფორმაცია შეგიძლიათ მოგვაწოდოთ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციაში.

მათი მოგვარებით დიდი საქმე გაკეთდება

ამასწინათ დედაქალაქიდან ჩემი დიდი ხნის მეგობარი მეწვია, რომელიც, ადრეულ წლებში, ხშირად მსტუმრობდა. მართალი ვთქვათ, იმხანად ყოველთვის მერიდებოდა მისთვის გამეცნო დაბის შემოგარენი და მხოლოდ რამდენიმე მარშრუტს ვთავაზობდი ხოლმე – ვარძიის, თმოგვის ციხის, ვანის ქვაბების მიმართულებით... თუმცა ყოველთვის მქონდა სურვილი შემომეტარებინა დიდი წარსულისა და ისტორიის მქონე სოფლებიც და ღრმად გამეცნო მისთვის ჩვენი რაიონი. განსაკუთრებით ავარიული სასოფლო გზებისა და მოუწყობელი ინფრასტრუქტურის გამო ვერ ვთავაზობდი მეგზურობას, დაბის შიდა გზებზე საუბარიც ხომ ზედმეტი იყო.

გავიდა წლები... ჩემი მეგობარი, რომელიც ისევ წარსულის შთაბეჭდილებებით იყო გაჯერებული, ახლახან კიდევ მეწვია და თვალს არ უჯერებდა – ამ მოკლე ხანში თუ როგორ იცვალა იერსახე დაბამ მუნიციპალიტეტში განხორციელებული მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტის გამო. არ დამავიწყდება, რა აღფრთოვანებით ათვალიერებდა ხერთვისს, მის ციხეს, სოფელ თმოგვს, ვარძიას, ასპინძის ცენტრს, ახლადგარემონტებულ ქუჩებს...

საპატიო სტუმარს, რამდენადაც ჩახედული ვარ სიტუაციებში, სამომავლო პროექტებზეც ვესაუბრე, განსაკუთრებით ხაზი გავუსვი იმ ფაქტს, რომ უახლოეს მომავალში განხორციელდება დაბის კულტურისა და დასვენების, ე.წ. – „დიდი პარკის“ სრული რეაბილიტაცია, რაზეც მთლიანობაში განხორციელდება მილიონ ლარზე მეტი სამშენებლო სამუშაოები, რომ რეაბილიტირებული იქნება ასპინძის ციხის მიმდებარე ტერიტორია და ერეკლე მეორის ქუჩა კეთილმოეწყობა თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურული რეალიების გათვალისწინებით და დამთვალიერებლისათვის ნორმალური საექსკურსიო გარემო შეიქმნება...

მიუხედავად ამისა, სტუმარმა ერთ ფრიად მნიშვნელოვან ფაქტზე გამიმახვილა ყურადღება და, როგორც იტყვიან, მართლა ღირს ამაზე დაფიქრება და მუნიციპალიტეტის მერიისაგან, ჩვენი აზრით, აქტიურ ჩარევას მოითხოვს. აი თუნდაც:

წლის ყველა პერიოდში მრავლად შეხვდებით კულტურისა და დასვენების, ე.წ. „სამკუთხა პარკში“ როგორც ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებს, აგრეთვე დასასვენებლად ჩამოსულ ადამიანებსაც, მოზარდებზე რომ არაფერი ვთქვათ, აქ საქართველოს რეგიონებიდან არც ექსკურსანტთა და უცხოელთა ხალვათობა იგრძნობა, თუმცა პარკის სიახლოვეს არსებული კავშირგაბმულობისა და ფოსტის ყოფილი ადმინისტრაციული შენობა (შემოგარენითურთ), თავისი მოუწესრიგებლობით საჩოთირო მდგომარეობას ქმნის, სადაც ამჟამად განლაგებულია შპს „საქართველოს ფოსტისა“ და შპს „ინტერ-გაზის“ სერვისცენტრები და სს „სილქნეტის“ ადგილობრივი განყოფილება.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ახლახან კეთილმოეწყო თამარის ქუჩის მთავარი ნაწილი, თუმცა გარემონტებულ ქუჩასთან სრულიად შეუსაბამოა იქვე არსებული ე.წ. ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შენობის იერსახე, სადაც ქირით მოთავსებულია „ენერგო პრო-ჯორჯიას“ ასპინძის ცენტრი და სხვა კერძო სტრუქტურები; მოსაწესრიგებელია „ლიბერთი ბანკის“ გარე ტერიტორიის ნაწილი, ე.წ. ბაზრის ტერიტორიაზე არსებული პურის საცხობის ფასადი სახურავითურთ და „თიბისი“ ბანკის წინ ჩადგმული კოტეჯები (კარგი იქნება თუ ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით მოხერხდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კოტეჯების ე.წ. „ბუტიკების“ ჩადგმა), რაც მომსახურების კულტურას აამაღლებს და ა.შ.

განსაკუთრებით თვალშისაცემია ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობა, რომელიც უცხო თვალს ძალზე ცუდად ხვდება. ვერ ვიტყვით, რომ დასახელებულ მსხვილ ობიექტებზე შესაბამისი სარემონტო და ტერიტორიის კეთილმოწყობითი სამუშაოების ჩატარება დიდ პრობლემებთან იყოს დაკავშირებული, რადგან შპს „ინტერ-გაზის სერვის ცენტრს“ (უფროსი **ვასილ აბულაძე**), შპს „საქართველოს ფოსტას“ (დირექტორი **ლევან ჩიკვაიძე**), სს „სილქნეტს“ (გენერალური დირექტორი **დავით მამულაიშვილი**), სს „ლიბერთი ბანკს“ (დირექტორი **(გიორგი კალანდარიშვილი)** სოლიდური ფინანსური რესურსები გააჩნიათ და თავიანთ კუთვნილ ობიექტებზე ძნელი არ უნდა იყოს სარემონტო სამუშაოების ჩატარება; დანარჩენმა ინდივიდუალურმა მეწარმეებმა კი, შესაძლებლობის ფარგლებში, პირი მაინც უნდა ჩამობანონ თავიანთ ობიექტებს, რათა ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოდან მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურასთან თანხვედრში მოიყვანონ, რაც მნიშვნელოვნად გაალამაზებს დაბას და ხელს შეუწყობს მისი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ფრიად კეთილშობილურ საქმეს.

ვიმედოვნებთ, – მუნიციპალიტეტის მერია და დასახელებული ობიექტების მენეჯერები დაინტერესდებიან ამ საკითხებით, შესაბამისი წინადადებებით შევლენ სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელების წინაშე და სასურველ შედეგებს მიაღწევენ საჭირო ასიგნებების გამოყოფის მიზნით.

ავთანდილ მესხი

დადებითად შეაფასეს

ამა წლის 9 ივლისს, სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლაში მოსმენილი იქნა „ახალგაზრდული იდეის'' შემაჯამებელი ანგარიში, სადაც ისაუბრეს ,,ახალგაზრდული იდეის მიზნებსა და 2019 წელს განხორციელებული პროექტების შესახებ“.

აღნიშნული ღონისძიება კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა, – ახალგაზრდებმა ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს დამსწრე საზოგადოებას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, მერის მოადგილე ლევან ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა მელიქიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომლებმაც ახალგაზრდების მიერ განხორციელებული პროექტები დადებითად შეაფასეს და მომავალში იდეების განხორციელებისთვის დახმარება აღუთქვეს.

,,ახალგაზრდული იდეა'' ასპინძასა და მის სოფლებში 2014 წლიდან ფუნქციონირებს და ამ წლების მანძილზე ევროპული ფონდების დაფინანსებით მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.

თესლბრუნვის მნიშვნელობა მებოსტნეობაში

ფერმერულ მეურნეობაში თესლბრუნვის სწორი დანერგვა, ნიადაგის ორგანული სასუქებით განოყიერება, სარეველა მცენარეების, მავნებლების და დაავადებების კონტროლი, სწორი რწყვა, მულჩირება, ქმნის ისეთ გარემოს, როდესაც მცენარეები ოპტიმალურად იყენებენ სინათლეს, სითბოს, ტენს, ჟანგბადს, ნახშირორჟანგს, საკვებ ნივთიერებებს და იძლევიან მაღალ და ხარისხიან მოსავალს.

ფართობზე ერთი და იგივე სასოფლო სამეურნეო კულტურის მოყვანის პირობებში ყოველწლიურად მცირდება სასოფლო სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა, იზრდება წარმოებული კულტურის მავნებელ დაავადებათა რაოდენობა, ფართობზე ხდება სპეციფიკური სარეველების მასიური გამრავლება. თესლბრუნვა არის კულტურათა მონაცვლეობა დროსა და სივრცეში.

თესლბრუნვის ძირითადი პრინციპია სხვადასხვა ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელი კულტურების შენაცვლება და პარკოსანი კულტურების მაღალი წილი თესლბრუნვის სქემაში. მრავალწლოვანი პარკოსანი ბალახები აღადგენენ და აუმჯობესებენ ნიადაგის სტრუქტურას, მათ ფესვებზე დასახლებული ე.წ. კოჟრის ბაქტერიების საშუალებით ხდება ატმოსფერული აზოტის ფიქსაცია და ნიადაგის გამდიდრება ამ ელემენტით.

თესლბრუნვის გამოყენებით უმჯობესდება ნიადაგის ფიზიკური თვისებები და იზრდება მისი ნაყოფიერება, იზრდება მოსავლიანობა და უმჯობესდება მოსავლიანობის ხარისხი, მცირდება სარეველა მცენარეების, მავნებლების და დაავადებების რაოდენობა, მცირდება ნიადაგის ეროზიის უარყოფითი გავლენები.

თესლბრუნვის სქემის შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ: ბოსტნეული კულტურა არ უნდა დაბრუნდეს ნაკვეთზე 4 წლის განმავლობაში; თესლბრუნვის სქემაში პარკოსანი კულტურების წილი უნდა იყოს არანაკლებ 25-30%; საკვები ნივთიერებების მიმართ მაღალი მოთხოვნილების მქონე კულტურები უნდა ვაწარმოოთ პარკოსანი კულტურების შემდეგ, მცენარეების გავლენა ნიადაგზე სხვადასხვანაირად ვლინდება; ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურების ისეთ მონაცვლეობის შერჩევას, როდესაც ყველა მომდევნო კულტურას მისთვის მისაღები და სასარგებლო ნიადაგური პირობები დახვდება.

სასურველი და არა სასურველი მომდევნო კულტურა“

ოლღა ბერიძე ველიჯანაშვილი,
ასპინძის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი

ბოსტნეული კულტურა	*სასურველი მომდევნო კულტურა*	არასასურველი მომდევნო კულტურა
კარტოფილი	*იონჯა, ბარდა, კომბოსტო*	*პამიდორი, ბადრიჯანი, წიწაკა*
კომბოსტო	*პამიდორი,კარტოფილი, პარკოსნები*	*კომბოსტოს ნაირები*
პამიდორი	*კომბოსტო, კიტრი, პრასი, ნიახური*	*კარტოფილი, ბადრიჯანი, წიწაკა*
ძირხვენები	*კარტოფილი, კომბისტო*	*ძირხვენები*

ასპინძაში ინფრასტრუქტურა ვითარდება

ახალციხე-ნინოწმინდის დამაკავშირებელ გზის დაბა ასპინძის მონაკვეთზე აქტიურად მიმდინარეობს საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები შპს ,,ჯავახავტოგზის'' მიერ.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ასფალტის საფარის დაგება.

განსაკუთრებით საყურადღებოა, ის ფაქტი, რომ გზა, რომელსაც სრული რეაბილიტაცია უტარდება, მთავარ საავტომობილო გზად ითვლება, და მის ხარისხზე დიდად არის დამოკიდებული საგზაო უსაფრთხოება. რასაც შესანიშნავად ართმევს თავს შემსრულებელი ორგანიზაცის მისი თავკაცის ნოდარ ინასარიძის ხელმძღვანელობით.

აღდგენითი სამუშაოები ტოლოშში

აქტიურად მიმდინარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშში საბავშვო-ბაღისა და სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან ბერიძე, ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ანზორ ალელიშვილი და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ელისო ბექაური გაეცნენ.

სამუშაოები გეგმა-გრაფიკით მიმდინარეობს და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

სახეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

მიმდინარე წლის 22 ივლისს, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, ქალთა ოთახში, გაეროს ქალთა ფონდის მხარდაჭერით, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის მიერ გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე – ,,ადგილობრივი ბიუჯეტის ანალიზის და მასზე დაყრდნობით გენდერული მთავარი საფინანსო დოკუმენტის შემუშავების შესახებ“.

შეხვედრას უძღვებოდა რეგიონის განვითარების ცენტრის წარმომადგენელი ნინო ლოლაძე, რომელმაც ისაუბრა გენდერული ბიუჯეტის არსსა და მნიშვნელობაზე.

პროექტის მიზანია საქართველოს 9 მუნიციპალიტეტში გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის შემუშავება, რომლის პროცესში ჩართული იქნება მერია და საკრებულო, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.

აღნიშნულ შეხვედრას ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ასპინძაში საკათედრო ტაძრის მშენებლობა აჯანდება

ქართველი კაცი რწმენამ გადაარჩინა, – ქრისტიანულმა რწმენამ, რომელიც სიზიფეს მოთმინებით იტანდა ათას მომხვდურთა საუკუნოვან შემოსევებს და ბრძოლის ქარცეცხლში ქმნიდა სალოცავ ხატებს, მარად ხელთუქმნელ ტაძარ-მონასტრებს. ღვთივკურთხეულ ქვეყანაში, ღვთიური მადლით მირონცხებულ მიწაზე, ერი და ბერი გამოსავალს მაინც პოულობდა და შთამომავლობას ქრისტიანული რწმენით ზრდიდა, რამეთუ, სწამდა და სჯეროდა, – კაცთა ხსნა სამშობლოს, ერისა და ოჯახის სიყვარულშია.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული მასიურად იწყო ქართველობამ ღვთისაკენ, ეკლესიისაკენ შემობრუნება და იქამდე მიძინებულ ეკლესია-მონასტრებს კვლავ მიეძალა მრევლი, – სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა.

როგორც მთელ ქვეყანაში, ასპინძელებიც მამაპაპურ გზას გაჰყვნენ – წმინდა ადგილებს არ აკლია მომლოცველები. დიდი ხანია აქ არსებული ადრეფეოდალური ხანის ტაძრებში ისევ ისმის ღვთის სადიდებელი გალობანი, ისევ ინთება წმინდა სანთლები, ისევ აღევლინება ლოცვანი.

და აი, ახლახან, კიდევ ერთი დიდი მოვლენის მოწმენი გავხდით, – 31 ივლისს, დაბის ცენტრში, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, საზეიმოდ ეკურთხა სულთმოფენობის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობა. კურთხევის საზეიმო ცერემონიალი აღავლინა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპისკოპოსმა, მიტროპოლიტმა თეოდორემ.

საბედნიეროდ, დღეს ქვეყანას კიდევ ჰყავს გამორჩეული ადამიანები, მეცენატები, თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული, ქრისტიანული რწმენით აღზრდილი მამულიშვილები, რომელთა ძალისხმევა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, დიდი ეროვნული საქმეების კეთებისკენაა მიმართული. სწორედ ასეთი ადამიანია ჩვენი მინა-წყლის ღირსეული შვილი, ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი, შპს „ნიალის„ დამფუძნებელი, ბატონი ემზარ ასპანიძე, რომლის სახელს მრავალი დიდი ქართული ეროვნული საქმე უკავშირდება, მათ შორის დაბა ასპინძაში საკათედრო ტაძრის მშენებლობის დაფინანსების ძირითადი ნაწილიც თავის თავზე აიღო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის დაფინანსებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს როგორც მუნიციპალიტეტის მერია, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის საეპისკოპოსო, ასევე მოსახლეობაც. ჩვენ კი, იმედია, ამ ღვთიური მადლით გაჯერებულ მარადიულ ნაყოფს უახლოეს მომავალში ყველა ერთად ვიხილავთ.

სულთმოფენობის სახელობის ასპინძის საკათედრო ტაძრის კურთხევას არა მარტო ასპინძელები, არამედ სამცხე-ჯავახეთის გუბერნიის, სამღვდელოების, მეზობელი მუნიციპალიტეტების თვითმმართველი ორგანოების, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ტაძრის კურთხევის საზეიმო ცერემონიალის მონაწილეებს მიესალმა მხარის გუბერნატორი ბესიკ ამირანაშვილი და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე.

ცერემონიალის მსვლელობისას ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების მიერ შესრულებული იქნა ქართული ხალხური სიმღერები და ხვილიშის წმინდა გიორგის სახელობის მგალობელთა გუნდის მიერ – ქართული საგალობლები.

ტაძრის პროექტის ავტორია თემურ ბერიძე.

ავთანდილ ბერიძე

წარსულის ფურცლები

სოფ. ტოლოში (ახალციხის მაზრა).

სოფ ტოლოშს ლეპპისის საზოგადოებაში პირველი ადგილი უჭირავს როგორც თავისს შესანიშნავ ბოსტან-ბაღჩეულობით, აგრეთვე სწავლა-განათლებით. სოფელი მესხეთსა და ჯავახეთის საზღვარზედა სძევს მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, სამხრეთით, 1 ვერსის სიშორეზედ და 7 ვერსის მანძილზედ მონასტერ ვარძიიდგან და თმოგვის ციხიდგან, სადაც ჩვენი ძვირფასი სარგის თმოგველი ასაფლავია. შიგ სოფელს ჩამოუდის ორი წმინდა, გემრიელი, კალმახით სავსე წყალი ანალურა და ხევა. თვითონ ტოლოში პატარა სოფელია და შეიკავს 27 კომლს გლეხს, რომელთაგანაც 14 ქართველია და 13 თათარი (?). აქვე სცხოვრობენ ამ სოფლის მებატონეები, რიცხვით 4 კომლი (ხიდირბეგაშვილი და თულაშვილები). სოფლის სიმდიდრეს შეადგენს ბაღები, რომლებიც სავსეა სხვა და სხვა ხეხილებით: ვაშლით, მსხლით, ალუბლით, თუთით, ატმითა და ყველანაირი წვრილი ხილით, დიდი მოსავალი იცის ამ ხილმა ორ წელინადში ერთხელ და დიდ-ძალს მუშტარსაც იზიდავს აქაური განთქმული შაალმა, ყარანფილა, მამულა, თავრეჟული და სხვ. ზაფხულობით ამ სოფელში ყველა მხრის ხალხს შეჰხვდებით. აქ ნახავთ: ახალქალაქელ, არტანელ, ყარსელ, გუმრელ, ტფილისელ სომხებს, ურიას, იმერელსა და ხარკოვ-ოდესის რუსს, რომლებიც მეტად იაფ-ფასად იგდებენ ხელში ამ სოფლის სიმდიდრესა და ხალხი ისევ სიღარიბეში რჩება; აქაურებს არ შეუძლიანთ ისე ისარგებლონ თავიანთის ხილით, როგორადაც ხერთვისელი თათრები სარგებლობენ, მიუხედავად იმისა, რომ ხერთვისის ხილი აქაურზედ შედარებით დაბლა სდგას. ამისი პირველი და უკანასკნელი მიზეზი ის გახლავთ, რომ მტკვარზედ უხიდობისა გამო, სოფელი მოწყვეტილია ახალციხის საურმე შარა გზას. მართალია სოფელ ხერთვისში ზაფხულობით ხის ხიდი იმართება, მაგრამ იმაზედ გაჭირვებით ცხენი და საკიდი ძლივს გადის და ურმით ხომ გასვლა სიზმარშიაც არ მოეჩვენება აქაურ კაცს. მარტის 15-ს მტკვარმა ეს ხიდიც აბარგა და სადაც თავისი ნებაა, იქ გამორიყავს. ხიდის წაღებამ არამც თუ მარტო ტოლოშელები, არამედ მთლად ახალციხის ნახევარი მაზრა: ლეპისისა და ურაველის საზოგადოება, დიდად დააღონა. ეს ხიდი ერთად ერთი გზა არის აქედან ახალქალაქში მიმავლისათვის. ასე რომ, ვისაც ტყეში ან ახალქალაქში წასვლა მოუნდება, ან უნდა მუსხის, ლომან-ბეგის ხიდებზედ მოუაროს (ამათი გზა თითქმის ერთი-ორად უგრძელდებათ), ან არა-და, უცადოს, ვიდრე თიბათვეში წყალი ჩამოჯდება და ხერთვისის მამასახლისის თაოსნობით მტკვარზედ ხის ხიდს გადააყუნტებენ. 1899 წელს გაზეთს „ივერიაში“ ამოვიკითხე, რომ მთავრობას გადაუწყვეტია, თუ არ ვიცი, აზრადა აქვსო, ახალციხის მაზრაში სამი ხიდი გამართონ: აწყვერსა, მუსხსა და ხერთვისშიო, მაგრამ ეს ხმები როგორღაც მიჩუმდნენ. როდის იქნება, რომ ამ ადგილს ხიდი ეღირსოსო, არ ვიცით! ამ საქმეში, ვგონებ, ადგილობრივს ადმინისტრაციას შეუძლიან რაიმე მალამო დასდოს ხალხს, მაგრამ ყურადღებას, ეტყობა, არავინ გვაქცევს.

სხვათა შორის, სოფ. ტოლოშში სთესავენ ყველა ბოსტნეულს, რომელთა შორისაც შესანიშნავია აქაური კარტოფილი, შერეული ნემეცურთან. ისეთი გლეხი არ იქნება აქ, რომ 5 და 10 სომარი (სომარი 18 ფუთია) კარტოფილი არ მოუვიდეს წელიწადში და კარგს ფასშიაც არ გაყიდოს, რადგანაც ახალციხისა და ახალქალაქის ბაზრებში ამ კარტოფილს პირველი ადგილი უჭირავს. ხვნა-თესვას მარტო ქართველები მისდევენ, თათრებს კი თუთუნის თესვა უფრო აქვთ ხელობათ გადაქცეული.

ამ სოფელში თითქმის 35 წელიწადია ერთკლასიანი სკოლა არსებობს, რომელიც „კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების“ ხარჯით ინახება. როგორცა სჩანს, სკოლას სასურველი ნაყოფი მოუტანია და ყველა მოზარდმა ქართველმა ქართულ-რუსული კითხვა იცის და პატარები 7 წლის შემდეგ უეჭველად სკოლაში დადიან.. სჩანს აქაურმა ქართველებმა სწავლის სარგებლობა შეიგნეს, მაგრამ 13 კომლ თათარში კი მარტო ერთმა დიდმა იცის რუსულ-ქართული წერა-კითხვა და პატარებიც ცოტანი დადიან სკოლაში (43 შეგირდში თათარი 11-ია), მეტადრე ამ ორი-სამი წლის განმავლობაში, რადგანაც ერთს ფანატიკოსს მოლას აქაც გაუმართავს ჩუმი სკოლა და გარდა ამისა, სკოლაში აღარ მიდიან შეგირდები იმიტომ, რომ ეს სკოლა, როგორც თვითონ შეიმოიღეს, „ზაკონბოჟისაა“. ეს სახელი, როგორც ქართველები ამბობენ, თვით სკოლის მტერ-მოკეთეს გაუვრცელებია ხალხში, რომ ამითი თავისი პირადი დამოკიდებულება და სარგებლობა თათრების წარმომადგენელ ბეგებთან უფრო გაემტკიცებინა.

წერილი უკვე დაწერილი მქონდა, რომ სოფელში ხმა გავარდა, პარასკევ საღამოს, 7 საათზედ, 16 მარტს, მემამულე ბაიბურთლის ტყის-მცველმა, სოფელ ფანაქეთში მცხოვრებმა ოროჯ ასან-ოღლიმ ხანჯლით მოჰკლა სოფ. ყურააღოღლის (ყოინდარის) მცხოვრები ქამალ აფას ოღლიო, მაგრამ მიზეზი რა ყოფილა, ჯერ კარგად არ ვიცით. ის კი გაგებული გვაქვს, რომ ქამალ აფანდ-ოღლი შეძლებული, საკლავ-საქონლით მოვაჭერე იყო.

გიგო შატბერაშვილი,
გაზეთი „ივერია“, 1901 წელი N80

ასპინძა – დიდი არქეოლოგიური კვლევის პოლიგონი



ასპინძა თავისი ისტორიული წარსულით და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი კუთხეა. იგი განსაკუთრებით იქცევს არქეოლოგთა მზარდ ყურადღებას იმითაც, რომ აქ შეხვდებით ადრეული ბრინჯაოს, ანტიკური ხანის, ადრეული შუასაუკუნეების თუ გვიანი პერიოდების მდიდარ ისტორიულ მასალას, რომელმაც დიდი ხანია მიიქცია მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, ნიალის, ახჩიის და სხვ. ყორღანული სამარხებით დაინტერესდა გამოჩენილი ქართველი არქეოლოგი, აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე, რომელმაც ვრცელი მონოგრაფია უძღვნა ამ მეტად უმნიშვნელოვანეს ძეგლს და დაასკვა, რომ იგი თრიალეთის კულტურის გაგრძელებაა და აღმოჩენილი ექსპონატები დასტურია იმისა, რომ ჩვენ დიდი ცივილიზაციის მატარებელი ერი ვართ, თუმცა რაიონში ბოლოდროინდელმა კვლევებმა, მიწაში დამარხულ ბევრ საიდუმლოს ახადა ფარდა და კიდევ უფრო განგვიმტკიცა მოსაზრება იმისა, რომ მესხეთი და, განსაკუთრებით დღევანდელი ასპინძის მუნიციპალიტეტი, თავისი დიდი ისტორიული წარსულით კიდევ ბევრ საიდუმლოს ინახავს და საჭიროა მისი ღრმა არქეოლოგიური შესწავლა და მისი გამომზეურება.

სრულიად ბუნებრივი მოვლენა იყო ისიც, რომ ჩვენი დიდი წარსულით ბოლო ხანს განსაკუთრებით დაინტერესებულები არიან უცხოელი მკვლევარები და ამიტომაცაა, რომ ისინი ინტენსიურად არიან ჩართულები არქეოლოგიურ ექსპედიციებში და შედეგებიც განსაკუთრებით სახარბიელოა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტი, ავსტრალიის მელბურნის უნივერსიტეტი, ფრანგ და დიდ ბრიტანეთის მეცნიერებთან ერთად ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ზველში აგრძელებენ არქეოლოგიურ კვლევებს, რომელიც გასულ წლებში დაიწყო და დღემდე გრძელდება. ასევე მიმდინარეობს არქეოლოგიური ექსპედიციები სოფელ ტოლოშისა და საყუდაბელის მიდამოებში და ნასოფლარ ერკოტის მიმდებარე ტერიტორიაზე.

აღნიშნული ექსპედიციები წარმოადგენს საერთაშორისო პროექტს, რომელიც დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური გრანტით.

8 ივლის ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ და მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად სოფელ ზველში მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოები დაათვალიერეს.

კოხტას ციხე

ასპინძასთან, მდინარე მტკვარს ჩრდილოეთიდან შეერთვის კოხტას ხევი, რომელიც ვახუშტის გადმოცემით, „გამოსდის ჯავახეთის მთას, ანუ კოდიანს“. კოხტას ამ ხევს მოერთვის სხვა ხევი მისივე მთის გამომდინარე. ამ ორ ხევს შორის არის „ციხე კოხტისა დიდშენი და მაგარი“. კოხტას ციხე მდებარეობს იმ გზაზე, რომელიც დამალის გავლით გადადის ჯავახეთში, თვით ციხე კი მდებარეობს დღევანდელ სოფელ დამალასთან, რომლის ახლანდელ მოსახლეობას შეადგენენ 1829 წელს თურქეთიდან გადმოსახლებული სომხები. ციხეს გარს მაღალი გალავანი აქვს შემოვლებული. გალავნის შიგნით შემორჩენილია კოშკი და ორი ეკლესიის ნანგრევები.

საისტორიო წყაროებიდან კოხტას ციხის სახელთან არის დაკავშირებული მონღოლთა ბატონობის დროს ქართველ დიდებულთა მიერ დათქმული ამბოხების ამბავი, რომელიც მონღოლთათვის ცნობილი გახდა და შემდეგ კი ცოტნე დადიანის გმირობა მოჰყვა თან.

როგორც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან“ ირკვევა, კოხტას ციხეს თავისი რაბათი ჰქონია. ციხის თავადი იმ ხანებში „ლუკას ძე ქაიხოსრო აზნაური“ ყოფილა. რაბათთან ახლოს თურქებს პატარა სოფელიც აქვთ აღწერილი, სადაც მხოლოდ სამი კომლიღა დარჩენილა თურქთა თარეშის შემდეგ.

ე.სარიშვილი

გმადლობთ, დიდი და კეთილი საქმისათვის



ჩვენ, ასპინძელები, თითქმის ყოველთვიურად იმის მოწმენი ვხდებით, თუ რამდენი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება დაბის კეთილმოწყობის თვალსაზრისით. ამჟამად მკითხველის ყურადღება ერთ ძალზე სასიამოვნო ფაქტზე გვინდა მივიპყროთ.

ჩვენ, დაბა ასპინძის ე.წ. კომუნალურ ბინებში მცხოვრენი (მხედველობაში გვაქვს ყველა მრავალსართულიანი საცხოვრებელი) დიდ კმაყოფილებას გამოვთქვამთ იმის თაობაზე, რომ კორპუსების სადარბაზოებს, საერთოდ რომ ვერ წარმოვიდგენდით, ევროსტანდარტების დონეზე უტარდება სარემონტო სამუშაოები. იმის გარდა, რომ მაღალი ხარისხით ხდება კედლების დამუშავება-შეღებვა, მთლიანად შეიცვალა ამორტიზირებული ხის ფანჯრები და მის ნაცვლად გაკეთდა „მეტალოპლასტმასის“ ფანჯრები, შეიცვალა იატაკი და დაიგო მაღალი ხარისხის „მეტლახი“, მოეწყო ე.წ. „სენსორები“, შეკეთდა მოაჯირები და ა.შ.

ეს დიდი საჩუქარია თითოეული ჩვენთაგანისათვის და თავს ნებას ვაძლევთ განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ მუნიციპალიტეტის მერიას ესოდენ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისათვის.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ობიექტებზე დასაქმებული მუშები დიდი გულისყურით ეკიდებიან მინდობილ საქმეს, რათა შესრულებული სამუშაოები აკმაყოფილებდეს თანამედროვე სტანდარტებს.

იმედია სხვა მრავალ სასიკეთო საქმესთან ერთად, რომელსაც მერია აკეთებს ბატონ როსტომ მაგრაქველიძის თავკაცობით, მათგან მომავალშიც კიდევ ბევრ სიურპრიზს უნდა ველოდოთ, რომ რაიონული ცენტრი კიდევ უფრო შეიცვლის იერ-სახეს და რეგიონში იგი ერთ-ერთი კეთილმოწყობილი დასახლებული პუნქტი იქნება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურიზმის განვითარების საქმეს.

მობინადრეთა სახელით,

ქეთევან დავლაშერიძე,
ნორა ნებაძე,
დალი ქოჩიაშვილი და სხვ.

ფარსულის ფურცლები

ასპინძის საშუალო სკოლის პედაგოგები . გასული საუკუნის 60-იანი წლები

ჩემი სამცხე-ჯავახეთი

საქართველოვ, გაძლიერდი,
მოგიმრავლდეს ნაშიერი,
ღმერთმა მარად აგაცილოს
ზეცის რისხვა საშინელი.

მოძლიერდეს ქართლის ერი,
მორწმუნე და ღვთისნიერი,
მოწინავე, მკლავძლიერი,
ძირძველი და გონიერი.

***

ვარძიის მთებს ნისლი ფარავს,
ვით თამარის ხელმანდილი,
ბალახებში ნამი ბზინავს,
ეფერება სიო დილის.

ცისარტყელა გადაშლილა
ბერთაყანას და თმოგვს შორის
ნეტა მის ქვეშ გამაძვრინა,
მაპოვნინა ჩემი სწორი.

გულსა და სულს მივაბარებ,
ვანის ქვაბებს მოვატარებ,
სიყვარულსა მივახარებ,
ბოროტ თვალს არ მივაკარებ.

***

კარგ შვილს გამოზრდის მაშინ მშობელი,
თუ არის იგი ცუდის მგმობელი,
თუკი აღმზრდელიც სწორად ზრდილია,
მაშინ აღზრდილიც გამოზრდილია.

თუ დააფასა შვილმა მშობელი,
მომავლისაგან კარგი მოელის,
გახსოვდეს მუდამ, ყველა დრო იმკის,
ვინც რასაც დასთესს, იმას მოიმკის.

***

ათასფერად მოელვარევ
ჯაყელების მხარევ,
წუნდის ტბაში ჩაძირულო
გაბადრულო მთვარევ.
იფნიეთის ხევო,
ათასფერად ჭრელო,
ვენახებით დაფარულო,
მილახევის ველო.
ოცნებებო ლაღო,
კრიალა ცის თაღო,
კოხტა ტერასებო,
სერამიდის ბაღო.
ჩემო დედულეთო,
ჩემო მამულეთო,
შენ კი გენაცვალე
სამცხე-ჯავახეთო.

***

მესხურ ჰანგზე იავნანას
მოიმღერის ჩვენი ნანა,
ხან მილულავს ხმას ძალიან,
ხან უმატებს თანდათანა.

ანა-ბანა, იავნანა,
ფანდურს უკრავს ჩვენი ნანა,
აქვე თანაკლასელები
ასრულებენ „განდაგანას“.

ალექსანდრე მელიქიძე,
სოფელი ტოლოში, 1985-86 წლები

სპორტი

დიდი ანგარიშით მოიგეს

გაზაფხული ძალაში შევიდა და შესაბამისად იკლო მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტულმა ღონისძიებებმაც, მაგრამ კალენდრით გათვალისწინებული შეჯიბრებები შეუფერხებლად მიმდინარეობს, ახლახან კი ასპინძის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ფერხბურთში, სადაც ერთმანეთს ასპინძის სასპორტო გაერთიანების ვაჟთა საფეხბურთო გუნდი ,,ვარძია'' და ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის კომპლექსური სასპორტო სკოლის ვაჟთა საფეხბურთო გუნდი ,,ზარზმა'' დაუპირისპირდნენ.

მოზარდებში ამხანაგური შეჯიბრება (13-15 წელი) დამთავრდა ანგარიშით – 2:2-ზე, ხოლო პატარებში (10-12 წელი) ასპინძის ვაჟთა საფეხბურთო გუნდის „ვარძიის"გამარჯვებით დასრულდა ანგარიშით – 5:1-ზე.

თქმულებები

ალი და მეთევზე

ძველად საქართველოში სწამდათ, რომ სამყაროში არსებობდნენ ზებუნებრივი ძალების მქონე ბოროტი არსებები, რომელთაც შეეძლოთ ადამიანებისათვის ზიანის მიყენება. ცნობები მათი სახელებისა და პერსონალური აღწერილობის შესახებ, უხვადაა შემონახული მითებში, ზღაპრებში, ლეგენდებსა თუ გადმოცემებში.

გადმოცემების თანახმად, ბოროტ არსებებს ჰქონდათ თავიანთი სამეფო, სადაც ქაჯები, ალები, მაჯლაჯუნები, ჭინკები და დევები იყვნენ თავმოყრილები.

ალი სხვა დანარჩენებისაგან განსხვავებით მაქციობის უნარით გამოირჩეოდა, მას შეეძლო მშვენიერი ქალის სახე მიეღო და ამით ეცდუნებინა მამაკაცი (ზ.კიკნაძე, 2007). ალები მდინარეებში, ტბებსა და ნაკადულებში ცხოვრობდნენ, რომლებიც დრო და დრო ხმელეთზე ამოდიოდნენ თმის დასავარცხნად, სწორედ ასეთ დროს აცდუნებდნენ მამაკაცებს, ხშირად წყალში იტყუებდნენ და ახრჩობდნენ.

მეგრულ მითოლოგიაში ალს „წყარიშმაფა", ანუ „წყლის დედოფალი" ჰქვია, რაც მისი მომხიბვლელობის დამადასტურებელია. გარდა წყლის ალებისა, არსებობდნენ ტყის ალებიც, რომლებიც ტყეებში ბინადრობდნენ. ტყაშიმაფა (მეგრ. „ტყის დედოფალი„) ნადირთა პატრონია (ზ.კიკნაძე).

ალებს გარდა ავი საქმეეებისა შეეძლოთ ადამიანისათვის ერთგული სამსახურიც გაეწიათ და მათი მორჩილიც გამხდარიყვნენ, ეს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი შეძლებდა მათი მაგიური გასაღების ხელში ჩაგდებას. ეს გასაღები მისივე სავარცხელი, ზოგ შემთხვევაში კი, თმები და ფრჩხილები იყო.

გადმოცემა, რომელიც ჩვენ მიერ ასპინძის რაიონის სოფელ ტოლოშში იქნა ჩაწერილი, ალებზე გავრცელებული მითების ერთ-ერთ საინტერესო ვარიანტს წარმოადგენს. მთხრობელის ინფორმაციით, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ტოლოშელ მეთევზეს ალექსი მელიქიძეს მტკვრის პირას, მილახების დიდ ქვაზე მჯდომარე ალი დაუნახავს, რომელიც კოჭებამდე ჩამოშვებულ თმებს ივარცხნიდა. მეთევზე ჩუმად მიჰპარვია და სავარცხელი წაურთმევია. ალი ქალს ბევრი უხვეწნია მეთევზისთვის, დაებრუნებინა საკუთარი ნივთი, მაგრამ ამაოდ. მეთევზეს ალი ქალი სახლში მიუყვანია მოსამსახურედ. ალი ქალს შვიდი წელიწადი ერთგულად უმსახურია. პატრონებიც კარგად ექცეოდნენ: „ბარაქიანი ხელი ჰქონებია. ცომს რო მოზელამდა, პურის ცხობას ვერ აუდიოდნენ, შავი დედალინა გადაეფრინებინათ გობზე, რო ცომი გათავებულიყო". ერთ დღესაც ალმა შესძლო მეთევზის მცირეწლოვანი შვილის მოტყუებით სავარცხელი დაებრუნებინა, რომელსაც საგანგებოდ რკინის ქვეშ ინახავდნენ, ალის რკინაზე ხელის შეხება არ შეეძლო. ვინაიდან ალს სავარცხელი ჩაუვარდა ხელში, დაუბრუნდა მაგიური ძალა და წასვლაც გარდაუვალი გახდა. წასვლის წინ მეთევზისთვის უთხოვია: შვიდი წელიწადი ერთგულად გემსახურე, საგზლად რამე გამატანეო, მეთევზეს გაგონილი ჰქონია, რო ალებს ცუდი წყევლა სცოდნიათ, თუკი რამეს გაატანდნენ, დაწყევლიდა და იქიდან ხეირს ვეღარ იზამდა... აუღია და საგზლად ერთი გუდა ნაცარი მიუცია. ალს ასე დაუწყევლია: „შაბათ დღეს რაგინდ გულითადი სტუმარი მოგივიდეს, ბუხარში ცეცხლი ვერ აგენთოსო". მართლაც, შაბათს იმ ოჯახში ცეცხლს ვერ ანთებენო.

ჩაიწერა ***ელდარ ზაზაძემ,***
ასპინძის რაიონის სოფ. ტოლოში
2018 წელი

ვნცამბლომა „წუნდამ" მოწონება დაიმსახურა

მიმდინარე წლის 7 ივლისს თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაიხსნა „Art-გენი – 2019", სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ

საქართველოს ყველა რეგიონიდან მოწვეული ფოლკლორული ანსამბლები.

8 ივლისს, ასპინძის ა(ა) იპ სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანების ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,წუნდა'' მაყურებელთა წინაშე ტრადიციული მესხური სიმღერებით წარსდგა, რასაც დიდი მოწონება და ოვაციები ხვდა წილად.

კულტურა

შეხვედრა პოეტებთან

ამ დღეებში ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, პროექტ ,,ცოცხალი წიგნების'' ფარგლებში გაიმართა შეხვედრა პოეტ ქალებთან, რომლებიც წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის 1700 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საგანმანათლებლო, ლიტერატურული პროექტის ,,ცოცხალი წიგნების'' ფარგლებში, წმინდა ნინოს გზაზე მოგზაურობენ და მართავენ შეხვედრებს მკითხველთან. პოეტებმა თათია მთვარელიძე, ნათია როსტიაშვილი, ქეთი შენგელია და სხვები პოეზიის მოყვარულების წინაშე თავიანთი ახალი შემოქმედებით წარსდგნენ, ისაუბრეს პოეზიის, ზოგადად მწერლობის როლზე, მის დანიშნულებაზე საზოგადოების სულიერად განვითარების საქმეში, გააცნეს თავიანთი სამომავლო გეგმები, გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები და სამომავლოდ კვლავ შეხვედრის სურვილით დაემშვიდობნენ მკითხველებს.

ღონისძიებას ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან ბერიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ბერიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ახალი წიგნები

ასპინძის მთავარმა ბიბლიოთეკამ ახლახან მიიღო შემდეგი დასახელების წიგნები:

ანანიძე შ. – „ნაჩუქარი სიცოცხლე". ბათუმი.: აჭარა, 2011 წ. – 199 გვ.
ადამაშვილი ბ. – „ამ რომანში ყველა კვდება". თბ.: ბაკურ სულაკაურის გამოცემა, 2018 წ. – 199 გვ.
ადამაშვილი ბ. – „ბესტსელერი". თბ.: მისსივე გამოცემა. 2018 წ. – 160 გვ.
ბუკოვსკი ჩ. – „ქალები". თბ.: შპს ოჩოპინტრე, 2016 – 396 გვ.
გიუნთექინი რ. – „ნარჩიტა". თბ.: საქართველო, 2013 – 495 გვ.
გორგილაძე ზ. – „მე შენი სისხლის ზიარება – გიახლოვდები". თბ.: ლამბრო, 2010 – 176 გვ.
გერვერი რ. – „იაზროვნე მარტივად". თბ.: კოლორი, 2018 – 212 გვ.
დოროთი ლ. სეიერსი. – „ვისი გვამია?. თბ.: პალიტრა, 2019 – 311 გვ.
ესქილე. – „ორესტეა". თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2018 –205 გვ.
ზოიძე შ. – „საქართველოს გოლგოთა". ბათუმი.: აჭარა, 1997 – 258 გვ.
ინასარიძე თ. – „გათხოვილის დღიური". თბ.: პალიტრა, 2017 – 245 გვ.
კარი – ჯონ დიქსონი. – „სამი კუბო". თბ.: პალიტრა, 2018 – 415 გვ.
კინგი ს. – „ბნელი კოშკი, კალას მგლები." თბ.: პალიტრა, 2018 – 854 გვ.
კინგი ს. – „„ქრისტინ". თბ.: პალიტრა, 2016 – 481 გვ.
კინგი ს – „ბნელი კოშკი, მსროლელი". თბ.: პალიტრა, 2019 – 854 გვ.
კორძაია – სამადაშვილი ა. „მე მარგარიტა". თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა. 2019– 227 გვ.
კრისტი ა – „იდუმალი მოწინააღმდეგე". თბ.: პალიტრა, 2019 – 399 გვ.
კლარკი მ.– „მკვლელი მძინარე მზეთუნახავი". თბ.: პალიტრა. 2018 – 261 გვ.
კლარკი მ. – „დაკარგული პატარძალი". თბ. პალიტრა, 2017 – 220 გვ.

მთავარი ბიბლიოთეკა

მა(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია